

ცხოველებთან დაკავშირებული გამოთქმები არაბულში (4)

უძველესი დროიდან ადამიანი გარემომცველ სამყაროს მხატვრულ სახეებად აღიქვამს, სხვადასხვა კულტურაში არსებობს ასოციაციები, რომლებიც უკავშირდება ამა თუ იმ ცხოველს. ყურადღება უნდა მიექცეს იმასაც, რომ სხვადასხვა ერის წარმოდგენები შეიძლება ძლიერ განსხვავდებოდეს ერთმანეთისაგან.

არაბულ ანდაზებსა თუ ფრაზეოლოგიურ გამოთქმებში მრავლად გვხვდება ცხოველთა სახეები. ცხოველის ამა თუ იმ თვისებაზე აქცენტირებით დაგმოილია ან შექებულია ადამიანის ესა თუ ის თვისება. მაგალითად: შრომისმოყვარეობა, თავდადება, შრომისუნარიანობა, ფარისევლობა, სისასტიკე, დაუდევრობა, სიძულვილი, მტრობა, სიბრიყვე

.....

სტატიაში განვიხილავთ ცხოველთან დაკავშირებულ ხატოვან სიტყვა-თქმებს, რომლებშიც ადამიანის უარყოფითი თვისებებია მხილებული. მასალა სხვადასხვა ლექსიკონშია მოძიებული.

პირმოთნეობა, ფარისევლობა, თვალთმაქცობა: ذنب بجلد ضأن **მგელი ცხვრის ტყავში;** الذنب الحمار تحت وصاية [5, 2004: 109, 364] **მგელს ვირი მიაზარო.** ანალოგიური გამოთქმა დასტურდება ქართულშიც. ეს თქმა სახარებისეულია და მაშინ იყენებენ, როცა დაუნდობელი მოღალატე ენით უმანკო კრავივით გვაჩვენებს თავს, გული კი სავსე აქვს ბოროტებით [1, 1979: 381]. არაბულ ენაში ადამიანის ეს თვისება ამ გამოთქმითაც გამოიხატება: ثياب غزال (ريش طووس) **ყვავი ქურციკის სამოსში, ყვავი ფარშევანგის ფრთებში.**

სიჯიუტე: حمار يا لك من **როგორი ვირი ხარ!** [4, 1989: 194].

სიცრუე; ეშმაკობა, გაქნილობა: ذنب من أحول **მგელზე მეტად გაქნილი, ეშმაკი, ქვეშეკვემა** [3,1216]. მგელმა ყურის მოყრუება იცის, მიძუნძულებს და უკან ყეფით ძალის მისდევეს, მგელი თითქოს ზედაც არ უყურებს, გაიტყუებს შორს, იქ, სადაც ჩასაფრებული არიან სხვა მგლები, რომლებიც უკნიდან მისცვივდებიან ძალღს და გაგლეჯენ. ადამიანები ამ თვისებას მელასაც უკავშირებენ. إنما هو ذنب الثعلب. **ნამდვილად მელას კუდია** (ხორცმესხმული მელას კუდია, მისი განსახიერებაა). მონადირეები ამბობენ, რომ მელას ხრიკები ისაა, რომ ის კუდს უქიცინებს ძალღებს და ისინიც მის კუდს ეტანებიან, მისდევენ. გვხვდება სხვა გამოთქმაც: أرغ من ذنب الثعلب **მელის კუდზე მეტად გაქნილი, მოხერხებულია** [3, 89]; أرغ من الثعلب **მელაზე მეტად მოხერხებულია.** შდრ. ქართ. **მელია** - გაიძვერა, ცბიერი ადამიანი; **მელობა** - გაიძვერობა, ეშმაკობა, მოტყუება, ქლესაობა, პირფერობა [1, 1979: 388].

სისასტიკე, დაუნდობლობა, სივერაგე, შულლი: ننب أخون من مგელზე მეტად მუხანათი, ვერაგი, დაუნდობელი; ننب أسرع غدره من ننب مგელზე მეტად ვერაგი, მუხთალი; ننب أعدى مგელზე მეტად მოშულარი, მოსისხლე; ننب أغدر من ننب مგელზე მეტად ვერაგი, მუხანათი, დაუნდობელი [3, 1368]. შდრ. ქართ. მგელკაცა საშინელი, დაუნდობელი, დაუზოგველი [1, 1979: 382].

მეტისმეტი სიძულვილი, მტრობა: عاش كالقط و الكلب ([5, 2004, 386] კატა და ძაღლივით ცხოვრობენ. შდრ. ქართ. ისე ეჯავრებოდა, როგორც ძაღლს კატა [1, 1979, 524].

მბრძანებლური ბუნება: أسلط من سلقه დედალ მგელზე მეტად მბრძანებლური ბუნებისაა [3, 1891]). მიემართება ძალაუფლების მოყვარე ქალბატონებს. მდედრი მტაცებელი უფრო კადნიერი და დაუნდობელია, ვიდრე მამრი. შდრ. ქართ. მგელიგლეჯია ქალი - ყოჩადი, გულადი, შეუპოვარი, შემმართებელი [1, 1979: 381].

მერყეობა, გაუწონასწორებლობა: مثل نعامة لا طير و لا جمل სირაქლემასავითაა, არც ჩიტია, არც აქლემი. ეს გამოთქმა მიემართება ადამიანს, რომლის შესახებც დანამდვილებით, მტკიცედ, გადაწყვეტილად ვერაფერს იტყვი. შდრ. ქართ. არც ღვინოა, არც წყალი.

უცოდინრობა, უმეცრება, სიბრიყვე: من عقر أجهل უმეცარი, უცოდინარი, უციცია მორიელზე მეტად. მორიელი ისე დადის ადამიანების ფეხებთან, რომ თავად ადამიანს (მისთვის ყველაზე დიდ საფრთხეს) ვერ ხედავს [3: 995].

სიმხდალე, ლაჩრობა: أجبن من أرنب კურდღელზე მხდალი, მშიშარა [4, 1989: 32]; შდრ. ქართ. კურდღლობა სიცქვიტე, სიმარჯვე, მშიშრობა. კურდღლის ძილი მეტად ფრთხილი ძილი. კურდღელმა მეტად სწრაფი სირბილი იცის და თან მეტად ფხიზელია, მშიშარა, ერთთავად ყურებდაცქვეტილი; კურდღლის ძილი საარაკოდაც გვაქვს და ფხიზელ კაცზე ვამბობთ ხოლმე: კურდღლის ძილი იცისო [1, 1979: 349]. არაბულისაგან განსხვავებით ქართულში ამ ცხოველთან დაკავშირებული ფრაზების გამოყენება შეიძლება როგორც დადებითი (სიფხიზლე, სიცქვიტე), ისე უარყოფითი (მშიშრობა) მუხტით.

სიზნანტე, აუჩქარებლობა: سرعة سلفائية კუს ტემპი, კუს ნაბიჯებით სიარული
سار سير سلفاة [4, 1989: 366]; შდრ. ქართ. კუს ნაბიჯით სიარული მეტად ნელა, ზღაზვნით სიარული [1, 1979: 350].

მზაკვრობა, მუხანათობა: إنسان حى გადატ. გველი, ასპიტი ადამიანი. იტყვიან ქალზე; (B. Борисов, 2004: 305). الحية أعدى من الحية უფრო მოსისხლე (მოშულარი), ვიდრე გველი 3, 2195]. შდრ. ქართ. გამოთქმა გველი ავი და მოღალატე, დაუნდობელი ადამიანი, მზაკვარი, მუხანათი; გველაძეუა გაიძვერა, ეშმაკი ადამიანი; გველის წიწილა ავი, მოღალატე, დაუნდობელი ადამიანი [1, 1979: 90–91]. الحية أعدى من العقرب უფრო მოსისხლე (მოშულარი), ვიდრე მორიელი (არაბული ანდაზები და გამოთქმები: 2611). ორივე ერის წარმოდგენაში ეს ცხოველი მკვეთრად უარყოფითი კონოტაციის მატარებელია.

უმოქმედობა, პასიურობა: من استرعى الذنب ظلم უსამართლოა ის, ვინც მგლებზე ზრუნავს [9, 2014: 502]. მსგავსი მნიშვნელობით არაბულში სხვა ანდაზაც დასტურდება يظلم الظلم إن من لا يذعن من لا يذعن ვინც არ ებრძვის (სიტყვასიტყვით: ხელს არ ჰკრავს) ბოროტებას, თვითონვე ჩადის ბოროტებას

[8, 2008: 35]. თუ ადამიანი არ იბრძვის ბოროტების წინააღმდეგ, ითვლება, რომ ის ხელს უწყობს მის გავრცელებას. სირაქლემას პოზიცია ხშირად უფრო ცუდი შედეგის მომტანია, ვიდრე თავად ბოროტება. უმოქმედობა და მასთან შეგუება აძლიერებს მას. აქედან მომდინარეობს ეს მოსაზრებაც: ვინც განუე დგას ბოროტებასთან ბრძოლაში ან ხელს აფარებს ბოროტმოქმედს, თავად არის ბოროტმოქმედი. შდრ. ქართ. **ვინც გველს რძეს ასმევს, შხამსაც უორკეცებს მას.**

ფუჭმეტყველება, ბევრი საუბარი, უკონტროლო საუბარი: اربط حمارك إنه مستنفر **დააბი შენი ვირი ბაგაზე, თორემ გაგირბის.** მიემართება მას, ვინ თავისი ენით შეურაცხყოფს სხვას და ტკივილს აყენებს. ენა ვირს ჰგავს, ბაგაზე დაბმის ეშინია [9, 2014, 222].

არაბი ხალხის მენტალიტეტისთვის დამახასიათებელია ის, რომ ტყული, ენამწარობა, ბევრი ლაპარაკი დასაგმობია. ადამიანი, რომელსაც ენა წინ უსწრებს ან ბევრს ლაპარაკობს, ხშირად აღმოჩნდება უხერხულ სიტუაციაში. ასეთი გამოთქმებით ადამიანებს მოუწოდებენ, თავი შეიკავონ უხვსიტყვაობის, სხვათა გაკიცხვისაგან, ენით სხვისთვის ტკივილის მიყენებისაგან. განხილულ ანდაზას არაერთი აზრობრივი ანალოგი მოემქნება: كثرة الكلام ندامة **ბევრ ლაპარაკს სინანული მოაქვს** (სირ.).

أدميانيانيس سيقديلي შეიძლება მისმა ენამ გამოიწვიოს /სიცოცხლე მის ბაგეებში იმალება. ايك وأن يضرب لسانك عنقك **გაფრთხილდი, რომ შენი ენა არ გახდეს შენი თავის მოკვეთის მიზეზი** (სიტყვასიტყვით: შენმა ენამ არ მოგჭრას კისერი; ლიბან. ეგვიპ. [8:, 2008: 141]. მომთაბარე ბედუინისთვის სიტყვა სიბრძნის წყარო და სამხედრო კონფლიქტისთვის საცვებით რეალური მიზეზი იყო. ამიტომ იგი თვლის, რომ ადამიანის სიცოცხლე, განსაკუთრებით კი მამაკაცის, დამოკიდებულია იმაზე, რამდენად შეუძლია მას ენის კონტროლი. ამიტომ მსგავსი შინაარსის გამონათქვამების მიზანია, ადამიანები კარგად დაფიქრდნენ, სანამ რაიმეს იტყვიან. არაბები თვლიან, რომ კაცი სიტყვის პატრონიც შეიძლება იყოს და მისი ტყვეც. მჭევრმეტყველება და ბრძნულად საუბრის უნარი არაბულ სამყაროში დიდად ფასდება. კიდევ უფრო დიდი ფასი აქვს საჭიროებისამებრ დუმილს, ზედმეტი საუბრისგან თავშეკავების უნარს.

მაამებლობა حكت بجنب البازل **მაიმუნი ფხანს მოწიფულ (ცრა წლის) აქლემს** [3: 2933]. მიემართება ადამიანს, რომელიც ცდილობს, დაუახლოვდეს მასზე ძლიერსა და ცნობილს. ამ ანდაზით გაკიცხულია მაამებლობა, გუნდრუკის კმევა, ანგარება.

სიბრიყვე حمار يحمل اسفارا **ვირს წიგნები უჭირავს** [9, 2014: 272]. ამ გამოთქმით ახასიათებენ ადამიანს, რომელმაც არაფრის ფასი არ იცის. ანდაზების ერთ ნაწილში დაპირისპირებულია დიდი ცხოველის სიმადლე ან ტანი მასზე პატარას ჭკუასთან. أجسام البغال و أحلام العصافير **ტანი ჯორების აქვთ და ოცნებები ბელურების** [9, 2014. 68]; عقل السخلة و طول النخلة **სიმადლე პალმის ხის აქვს, ჭკუა - ბატუნის.** მიემართება ტანად დიდ, წარმოსადეგ, მაგრამ უჭკუო ადამიანს. აღნიშნული გამოთქმა უარყოფითი კონოტაციისაა და ადრესატის სიბრიყვეს უსვამს ხაზს. შდრ. ქართ. ალვის ხეც მაღალია, მაგრამ შიგ არაფერი ყრია; ჭადარი მაღალი იზრდება, მაგრამ ნაყოფს

არ იძლევა (ქართული ანდაზები, 1959:5). ქართულში შედარებისას ცხოველთა სახეებს არ ვიყენებთ.

ცილისწამება الكلاب نباح السحاب لا يضر الصيلة ما بعينها جلالها [9, 2014: 322] **ძალღების ყეფა ღრუბლებს ვერ აზიანებს (ცნებს)**. გამოიყენება უღირსი ადამიანის მიმართ, რომელიც ათასგვარი ფანდით, მზაკვრობით, ცილისწამებით ცდილობს ღირსეულის გასვრას, მაგრამ ამაოდ. ამ კონტექსტში შეიძლება განვიხილოთ სირიული ანდაზაც

السفرس الاصيلة ما بعينها جلالها **სუფთა სისხლის ცხენისთვის ცუდი უნაგირი ნაკლი არ არის** [6, 1978:327].

უპასუხისმგებლობა უზნეო ადამიანზე, რომელიც თავის საქციელზე, ნამოქმედარზე არასდროს აგებს პასუხს, არაბები ამბობენ: طار عصفير رأسه **თავში ბელურები უფერენს** [7, 2005: 132]. ჩიტი ასოცირდება უდარდელ, უნაღვლო ქცევასთან, უმიზნო, ფუჭ და დაუფიქრებელ ქმედებასთან. შდრ. ქართ. მწყრები ჰყავს! მწყერი ქართველებს სისულელის სინონიმად აქვთ მიჩნეული. არსებობისათვის ბრძოლაში სუსტი და მოუხერხებელი ფრინველი ხალხის თვალში მოუსაზრებლობის, წინდაუხედაობისა და ჭკუის სისუსტის სინონიმად იქცა. როცა უნდათ თქვან: მავანი ჭკუანაკლებიაო, ამბობენ: მწყრები ჰყავს და ბლომადაცაო!

სულსწრაფობა ეს თვისება არ არის მოწონებული გამოთქმაში:

من أكل بيضة فقد أكل دجاجة **ვინც კვერცხი შეჭამა, მან ქათამიც შეჭამა.**

بيضة اليوم ولا دجاجة بكره **დღევანდელი კვერცხი მირჩენია ხვალინდელ ქათამს.**

عصفور باليد أفضل من عشر على الشجره **ბელურა ხელში (გყავდეს) უკეთესია, ვიდრე ათი იყოს და ხეზე იჯდეს.** შდრ. ქართ. **ხელში ნაჭერი ერთი ჩიტი გიჯობს, ორ-სამ ხეზე მჯდომარესა** [2, 1959: 22,29] ამ ანდაზების არსი ისაა, რომ სამომავლოდ ზღაპრულ დაპირებებს სჯობია დღევანდელი მცირედი. ოპოზიცი.: لا تنع دجاجة بكره بيضة اليوم **ნუ გაყიდი ხვალინდელ ქათამს დღევანდელ კვერცხზე.**

არაბულ ანდაზებსა და ფრაზეოლოგიურ გამოთქმებზე დაკვირვებამ აჩვენა, რომ მათი ნაწილი აბსოლუტურად თანხვედრია ქართულთან როგორც ფორმით, ისე შინაარსით. არაბულ ენაში არის ჯგუფი ანდაზებისა და გამოთქმებისა, რომელთაც ქართულში ანალოგი არ დაეძებნათ, თუმცა აზრი შეიძლება გადმოიცეს აღწერილობით. არაბული ფრაზეოლოგიზმებისა თუ ანდაზებისა ერთ ნაწილს ქართულში აზრობრივი ანალოგიც არ გააჩნია. არაბული და ქართული მასალის შეპირისპირებითმა კვლევამ აჩვენა, რომ მოცემული ენების თქმებში ასახული სიბრძნე მათთვის დამახასიათებელი კუთხით არის დაფიქსირებული. ამასთანავე, სინამდვილის ამსახველი მოვლენები მოცემული ხალხების მენტალური ხედვის ფარგლებში მეტ-ნაკლებად განსხვავებულ ელფერს იძენს, კატეგორიზდება. ერთი და იმავე აზრის გამოსახატავად სხვადასხვა ეთნოსი, ერთი მხრივ, საკუთარ „საშენ მასალას“ იყენებს და, მეორე მხრივ, – ანალოგიურს. სრულიად განსხვავებული ხალხები სამყაროს შემეცნების პროცესში დაგროვილი გამოცდილების საფუძველზე ცნებითი აზროვნების სტერეოტიპულ მოდელებს ქმნიან.

ლიტერატურა:

- 1.სახოკია თ. (1979): ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, თბილისი
- 2.ქართული ანდაზები. (1959): შეადგინა ა.კანდელაკმა, თბილისი
- 3.არაბული ანდაზები და გამოთქმები, Арабские пословицы и поговорки. www.nuruliman.ru
- 4.Баранов Х. (1989): Арабско-русский словарь. Москва
- 5.Борисов В. (2004): Русско-арабский словарь, Москва
- 6.М. Эль-Массарани, В.С. Сегаль, (1978): Арабско-русский словарь Сирийского диалекта, Москва.
- 7.Кухарева Е (2005). Клише как отражение национального менталитета (На примерах арабских паремий), Москва.
- 8.Кухарева Е. (2008): Словарь арабских пословиц и поговорок. Москва.
- 9.Mahmoud Sami Mousa. (2014) : A Dictionary of Idiomatic Expressions in Written Arabic, Cairo,

Lela Avaliani
Akaki Tsereteli State University
Kutaisi, Georgia

Some animal-related expressions in Arabic (4)

Abstract

Arabic language had its own distinctive signs before the Islam period which were later retained. These distinctive signs are confirmed even in proverbs and phraseologies. That is why some of them lose their initial importance when translated.

In Arabic proverbs or phraseological expressions, we can often meet several animal types. Observing them and consantrating some of the features of the animal is denounced or praised a person's specific feature. In the article we will discussed the animal-related fictional words, which are reflected in the Arabic language with sufficient completeness. The material is found in different dictionaries.

The observation of Arabic proverbs and phraseological expressions showed, that part of them is absolutely correlated with Georgian in both aspects, in form and in content. In the Arabic language there is a large group of proverbs and expressions, that do not have analogy in Georgian, however, the opinion can be transmitted by the description. A part of the Arabic phraseology or proverb does not have any meaningful analogy in Georgian.